ბაუ დიზაინი
არქიტექტურისა
და ურბანული
დიზაინის ბიურო

„გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების (გუდაურის მაღლობების) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი“

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიში

შემსრულებელი: შპს გის და დისტანციური ზონდირების საკონსულტაციო ცენტრი „გეოგრაფიკი“

გეოგრაფიკი
გის & ლზ საკონსულტაციო ცენტრი

თბილისი
იანვარი, 2021

რეზიუმე

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს „გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების (გუდაურის მაღლობების) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის“ სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სგშ) სკოპინგის ანგარიშის პროექტს, რომელიც მომზადებულია სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით და მოიცავს ინფორმაციას, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 24-ე მუხლის შესაბამისად. წარმოდგენილი ანგარიშის პროექტი, სათანადო სკოპინგის განცხადებასთან ერთად საჭიროა წარდგენილ იქნას დამგეგმავი ორგანოს მიერ სგშ-ზე უფლებამოსილი ორგანოების, კერძოდ, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ასევე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინაშე.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოიცავს: სკოპინგის განცხადებას და სკოპინგის ანგარიშის პროექტს, რომელსაც თანდართული აქვს დანართი 1 - სტრატეგიული დოკუმენტის „გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების განაშენიანების რეგულირების გეგმის წინასაპროექტო კვლევა და სტრატეგიული განვითარების ხედვა“ (კონცეფცია).